

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

წინასწარი შეფასებით, 2014 წლის პირველ შვიდ თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ 6.2 პროცენტი შეადგინა. ივლისის თვეში, წინა წლის ივლისთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტი 7.2 პროცენტით გაიზარდა.

2014 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5-6 პროცენტის ფარგლებშია, რაც შეესაბამება საქართველოს ეკონომიკის პოტენციური ზრდის ტემპს, რომელიც 6 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა

ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის ოპერატიული მონაცემებით ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი უჭირავთ ვაჭრობას, მრეწველობას და მშენებლობას.

ორი კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 6.0 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკური ზრდის დარგობრივი განხილვა უჩვენებს, რომ ყველაზე სწრაფად გაიზარდა მშენებლობა 16.5 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობა 11.1 პროცენტით, ვაჭრობა 9.1 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა 7.8 პროცენტით.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

სამეწარმეო სექტორის ზრდა გრძელდება 2014 წლის მეორე კვარტალშიც. პროდუქციის გამოშვება სამეწარმეო სექტორში წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 13,1 პროცენტით. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 7 ათასი ადამიანით.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ეკონომიკურ ზრდაში აშკარა წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზარდა 21 პროცენტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 15 პროცენტით, დასაქმება კერძო სექტორში გაიზარდა დაახლოებით 10 ათასი ადამიანით, ხოლო გამოშვება კერძო სექტორში გაიზარდა 16 პროცენტით;

ფასები

2014 წლის აგვისტოში 2013 წლის აგვისტოსთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 3.4 პროცენტი შეადგინა. 2014 წლის შვიდი თვის მშპ-ის დეფლატორის საშუალო საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3.6 პროცენტს. საქართველოს მიზნობრივი ინფლაცია 2015 წლიდან 5 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას ეროვნული ბანკი წლის ბოლოსთვის ვარაუდობს.

ლარის გაცვლითი კურსი

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსის პოლიტიკას. 2014 წლის დასაწყისში ლარის გაუფასურების ტენდენცია შეცვალა გამყარების ტენდენციამ. მერყეობა, რომელიც ლარის გაცვლით კურსს ახასიათებს ნორმალური მოვლენაა და ასეთი მერყეობა როგორც გამყარების ისე გაუფასურების მიმართულებით მომავალშიც გვექნება.

2014 წლის იანვართან შედარებით 2014 წლის 31 აგვისტოსათვის ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 0.03 პროცენტით, ხოლო ევროსთან მიმართებაში 4.3 პროცენტით გამყარდა.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2014 წლის 8 თვის მონაცემებით, ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიური საგადასახადო შემოსავლები საპროგნოზო მაჩვენებლებს 2,1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელს 11.6 პროცენტით აჭარბებს.

2014 წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ტენდენციებზე დაყრდნობილი პროგნოზის მიხედვით გადასახადების დაგეგმილი 2014 წლის მაჩვენებელი მცირედი გადაჭარბებით შესრულდება.

საგარეო ვაჭრობა

მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტი გაიზარდა 9 პროცენტით, მათ შორის რუსეთში 118 პროცენტით, აშშ-ში 36 პროცენტით, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში 27 პროცენტით. შემცირდა ექსპორტი აზერბაიჯანში რაც სრულად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის კლებით არის გამოწვეული.

2014 წლის რვა თვეში იმპორტი გაიზარდა 13 პროცენტით, ხოლო, საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 12 პროცენტით.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2013 წელს საგრძნობლად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის ბალანსი და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.9 პროცენტი შეადგინა. დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რამაც 2013 წელს შეადგინა დეფიციტის 95 პროცენტი.

2014 წლისათვის მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა 8.0-8.5 პროცენტამდე. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 6-7 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებისაკენ.

საკრედიტო რეიტინგები

2014 წლის მაისში, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებმა Moody's-მა შეაფასა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი და გაზარდა იგი Ba3 სტაბილურიდან Ba3 პოზიტიურამდე.

სახელმწიფო ვალი

მთავრობის ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2014 წლის ბოლოსათვის, სავარაუდოდ, მშპ-ს 35.6 პროცენტის დონეზე იქნება. აქედან, საგარეო ვალი იქნება 26.9, ხოლო საშინაო ვალი 8.7 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებელი სახელმწიფო ვალის კრიტიკულ მაჩვენებლისგან საკმაოდ შორსაა.

ახალი პროგრამა სავალუტო ფონდთან

მიმდინარე წლის 31 ივლისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასულებელმა საბჭომ დაამტკიცა 36 თვიანი (100 მლნ SDR) საქართველოს მთავრობის ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მაკროეკონომიკური მოწყვლადობა, გავაფართოვოთ ეკონომიკური პოლიტიკის ბუფერები და გავაუმჯობესოთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, რაც ქვეყნის ეკონომიკას გახდის უფრო მდგრადს საგარეო შოკების მიმართ. პროგრამის ფარგლებში ფინანსურ მხარდაჭერაზე მეტად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ქვეყნის მიმართ ნდობის ხარისხს ასწევს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრებია: 5-6 პროცენტის რეალური ეკონომიკური ზრდა; საბიუჯეტო დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება 2014 წელს დაგეგმილი მშპ-ის 3,7 პროცენტიდან 2015 წელს 3,0 პროცენტამდე და 2016 წელს 2,6 პროცენტამდე.


ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

2014 წლის ივლისში ეკონომიკა 7.2 პროცენტით გაიზარდა. საქსტატის წინასწარი შეფასებით მიმდინარე წლის ივლისში, 2013 წლის ივნისთან შედარებით ეკონომიკურმა ზრდამ 7.2 პროცენტი შეადგინა. ამასთან, მშპ იანვარ-ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.2 პროცენტით გაიზარდა.

2014 წლის ივლისში ეკონომიკური აქტივობა 14.3 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობა გაიანგარიშება დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვის ოპერატიული მონაცემებზე დაყრდნობით. ეკონომიკური აქტივობა ივლისში 14.3 პროცენტით, ხოლო იანვარ-ივლისში 13.6 პროცენტით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

წლიური და სეზონურად შესწორებული მშპ-ს ზრდა და დღგ-ს გადამხდელ ბრუნვათა ცვლილება



ეკონომიკური ზრდის წარმართველი სექტორებია ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა და ტრანსპორტი.

მშპ-ის ორი კვარტლის დაზუსტებული მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვანი ზრდები აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა 16.5 პროცენტი, დამამუშავებელი მრეწველობა 11.1 პროცენტი, ვაჭრობა 9.1 პროცენტი, საფინანსო საქმიანობა 7.8 პროცენტით და ტრანსპორტი 7.6 პროცენტი. კლება დაფიქსირდა სამთომომპოვებით მრეწველობაში (10.6 პროცენტი) და ელექტროენერჯის, აირის და წყლის წარმოება და განაწილება (3.2 პროცენტი).

დღგ-ის ბრუნვების მონაცემების მიხედვით ეკონომიკური აქტივობის ზრდა იანვარ-ივლისში ძირითადად განაპირობა ზრდამ ვაჭრობის სექტორში, სადაც ზრდამ 2014 წლის შვიდ თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 8.7 პროცენტი, მშენებლობა (32.6%), მრეწველობა (9.2%).

ეკონომიკური ზრდის წარმართველ ფაქტორს კერძო ინვესტიციები შეადგენს. 2014 წლის პირველ კვარტლის მონაცემებით ინვესტიციები გაიზარდა 14.9 პროცენტით. განსაკუთრებით მაღალი ზრდა დაფიქსირდა კერძო ინვესტიციებში, რომელიც 2014 წლის პირველ კვარტალში 21 პროცენტით გაიზარდა.

გაიზარდა მშპ-ის შემოსავლის ფორმირების ანგარიშის ყველა კომპონენტი: საოპერაციო მოგება (19.8%-ით), გადასახადები (8.2%-ით), შრომის ანაზღაურება (5.8%-ით).


ფასები

2014 წლის აგვისტოში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.5 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ცვლილებამ. აღნიშნულ ჯგუფში ფასები 2.7 პროცენტით გაიზარდა, რაც აგვისტოს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.8 პროცენტული პუნქტით აისახა.

სამომხმარებლო ფასები 2014 წლის აგვისტოში 2013 წლის აგვისტოსთან შედარებით 3.4 პროცენტით გაიზარდა. 12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათი და უალკოჰოლო სასმელებმა სამომხმარებლო ფასები 2.0 პროცენტით, ხოლო ჯანდაცვამ და ტრანსპორტმა 0.4 და 0.3 პროცენტით გაზარდა.

2014 წლის ივლისში, 2014 წლის ივნისთან შედარებით, მშპ-ს დეფლატორი 3.6 პროცენტით გაიზარდა. 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 2.6 პროცენტი იყო.

სამომხმარებლო ფასების და მშპ-ს დეფლატორის წლიური ცვლილება



საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2014 წლის იანვარ-აგვისტო

2014 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 5 074,1 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 64,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 63,9 პროცენტს შეადგენს.


**ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
2014 წლის იანვარ-აგვისტოს შესრულება**

	პროგნოზი 2014 წ.	ფაქტი 8 თვე	შესრულება %
შემოსავლები	7 909 000,0	5 074 147,2	64,2%
გადასახადები	7 230 000,0	4 621 356,8	63,9%
გრანტები	144 000,0	127 865,5	88,8%
სხვა შემოსავლები	535 000,0	324 924,8	60,7%

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2014 წლის იანვარ-აგვისტოში გადასახადების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 4 621,4 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,6 პროცენტით (367,2 მლნ ლარი) მეტია. 2014 წლის იანვარ-აგვისტოს საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 102,1 პროცენტით შესრულდა და ფაქტიურმა მაჩვენებელმა საპროგნოზოს 94,3 მლნ ლარით გადააჭარბა.

**ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი-ფაქტი
2014 წლის იანვარ-აგვისტო**



საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 202,5 მლნ ლარი, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება. აღნიშნული თანხები აპრილ-აგვისტოში დაუბრუნდა 460 158 ფიზიკურ პირს და ჯამში 127,4 მლნ ლარი შეადგინა. თუ ფაქტიურ მაჩვენებელში გავითვალისწინებთ დაბრუნებული დაუბეგრავი მინიმუმის თანხებს, მაშინ საშემოსავლო გადასახადი 10,7 პროცენტით (128,1 მლნ ლარი) აჭარბებს გასული წლის მაჩვენებელს.

მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 544,4 მლნ ლარი, რაც 3,3 მლნ ლარით ნაკლებია

გასული წლის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის კლების ტენდენცია 2013 წლიდან დაიწყო და მიმდინარე წელსაც გრძელდება, რაც დაკავშირებულია გასული წლების მოგების დინამიკასთან. 2013 წელში ადგილი ჰქონდა საწარმოთა ჯამური მოგებების შემცირებას, რამაც გავლენა იქონია მიმდინარე წლის მოგების გადასახადზე. აღნიშნულმა შემცირებამ გავლენა იქონია მარტის თვეში გადასახდელ თანხებზე, როცა კომპანიები იხდიან გასულ წელს ავანსად ფაქტიურად გადახდილ თანხებსა და ფაქტიურ მოგების გადასახადს შორის სხვაობას.

საპირისპირო, სრულად პოზიტიური, ტენდენციები არის 2014 წელს. სტატისტიკური ინფორმაციით კომპანიების მოგებები მნიშვნელოვნად გაიზარდა, და მოსალოდნელია მოგების გადასახადის ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე მაღალი ტემპით. ძირითადად მიმდინარე წელს ავანსის სახით გადახდილ მოგების გადასახადსა და 2014 წლის მოგების მაღალი მოსალოდნელი მაჩვენებლის გამო.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მობილიზებულია 2 118,3 მლნ ლარი, რაც 17,1

პროცენტით (309,1 მლნ ლარით) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე. მიღებული შემოსავლები გაზრდილია როგორც ტერიტორიიდან, ასევე იმპორტიდანაც. ტერიტორიაზე გადახდილი დღგ 4,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტზე გადახდილი დღგ 67,2 პროცენტით, რაც განპირობებულია საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებით, კერძოდ 2014 წლის პირველი ივნისიდან გაუქმებულია იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესი.

აქციზის გადასახადიდან მობილიზებულია 516,5 მლნ ლარი, რაც 11,1 პროცენტით (51,5 მლნ


ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე, მათ შორის აქციზის გადასახადი ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან გაზრდილია 3,2 პროცენტით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან 14,2 პროცენტით. ამასთან, გაზრდილია შემოსავლები თამბაქოს აქციზიდან 7,6 პროცენტით (15,2 მლნ ლარი), ლუდი/არყის აქციზიდან 14,9 პროცენტით (4,7 მლნ ლარი), ნავთობპროდუქტებიდან 13,3 პროცენტით (13,3 მლნ ლარი) და მსუბუქი ავტომობილების აქციზიდან 13,3 პროცენტით (10,0 მლნ ლარი).

იმპორტის გადასახადიდან მობილიზებულია 64,9 მლნ ლარი, რაც 14,0 პროცენტით (8,0 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.


ქონების გადასახადიდან მობილიზებულია 159,9 მლნ ლარი, რაც 3,2 პროცენტით (4,9 მლნ ლარი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

გადასახადების ისტორიული დინამიკა

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა, იანვარ-აგვისტო 2011-2014წწ.



ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების დინამიკა სახეობების მიხედვით, იანვარ-აგვისტო 2011-2014წწ.




ზრდა დაფიქსირდა დამატებული ღირებულების გადასახადში, აქციზის და იმპორტის გადასახადებში.

აქციზის გადასახადი იანვარ-აგვისტო 2011-2014წწ.

წინა წელთან შედარებით აქციზის გადასახადის ზრდა ძირითადად განაპირობა თამბაქოს, ლუდი/არყისა და მსუბუქი ავტომობილების აქციზიდან მიღებულმა შემოსავლებმა.

აქციზის გადასახადის დინამიკა აქციზური პროდუქციის მიხედვით 2011-2014 წწ.



ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 8 თვის შესრულების შესახებ

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 319 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4 660 103.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 63.7%.

2014 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2014 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	7,319,000.0	4,660,103.1	-2,658,896.9	63.7
გადასახადები	6,820,000.0	4,373,399.3	-2,446,600.7	64.1
გრანტები	144,000.0	127,255.1	-16,744.9	88.4
სხვა შემოსავლები	355,000.0	159,448.7	-195,551.3	44.9

ათასი ლარი

გადასახადების 2014 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 820 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4 373 399.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 64.1%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 114 444.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 770 000.0 ათასი ლარი) 63.0%-ია. აღნიშნავია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება. აღნიშნული თანხები აპრილ-აგვისტოში დაუბრუნდა 460 158 ფიზიკურ პირს და ჯამში 127 399.0 ათასი ლარი შეადგინა.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 544 343.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (912 000.0 ათასი ლარი) 59.7%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 118 340.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 274 000.0 ათასი ლარი) 64.7%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 516 522.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (739 000.0 ათასი ლარი) 69.9%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 64 781.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100 000.0 ათასი ლარი) 64.8%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 14 967.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25 000.0 ათასი ლარი) 59.9%-ია.

2014 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2014 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	6,820,000.0	4,373,399.3	-2,446,600.7	64.1
საშემოსავლო გადასახადი	1,770,000.0	1,114,444.1	-655,555.9	63.0
მოგების გადასახადი	912,000.0	544,343.1	-367,656.9	59.7
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,274,000.0	2,118,340.4	-1,155,659.6	64.7
აქციზი	739,000.0	516,522.9	-222,477.1	69.9
იმპორტის გადასახადი	100,000.0	64,781.6	-35,218.4	64.8
სხვა გადასახადი	25,000.0	14,967.2	-10,032.8	59.9

გრანტების 2014 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 144 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 127 255.1 ათასი ლარი (მშ. გათვალისწინებულია წლის განმავლობაში მირებული მიზნობრივი გრანტები), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 88.4%.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 355 000.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 159 448.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 44.9%.

8 თვის მდგომარეობით სხვა შემოსავლების შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ერთის მხრივ სხვადასხვა საქნციებისა და ჯარიმების ოდენობების შეცირებით, ხოლო მეორეს მხრივ იმ გარემოებით, რომ ამ ეტაპისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის მობილიზებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების 2013 წლის დივიდენდები.

**სხვა შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2014 წელი გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	355,000.0	159,448.7	-195,551.3	44.9
შემოსავლები საკუთრებიდან	89,600.0	15,521.0	-74,079.0	17.3
პროცენტები	28,000.0	12,388.6	-15,611.4	44.2
დივიდენდები	55,000.0	122.8	-54,877.2	0.2
რენტა	6,600.0	3,009.6	-3,590.4	45.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	68,700.0	35,464.5	-33,235.5	51.6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	66,700.0	33,639.1	-33,060.9	50.4
სალიცენზიო მოსარებლები	750.0	926.2	176.2	123.5
სანებართვო მოსარებლები	47,000.0	20,624.0	-26,376.0	43.9
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1,100.0	794.8	-305.2	72.3
სახელმწიფო ბაჟი	14,200.0	9,669.3	-4,530.7	68.1
საკონსულო მოსაკრებელი	1,600.0	875.6	-724.4	54.7
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,550.0	560.8	-989.2	36.2
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	500.0	188.4	-312.6	37.5
არასაბაზრო წესით გაყილი საქონელი და მომსახურება	2,000.0	1,825.3	-174.7	91.3
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	200.0	243.6	43.6	121.8
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,800.0	1,487.2	-312.8	82.6
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყილი საქონლიდან და მომსახურებიდან		94.5	94.5	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	100,000.0	47,827.1	-52,172.9	47.8
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	1,700.0	16.1	-1,683.9	0.9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	95,000.0	60,619.9	-34,380.1	63.8

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 52 546.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (80 000.0 ათასი ლარი) 65.7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 50 321.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000.0 ათასი ლარი) 71.9%-ია.

ვალდებულებების ზრდის შედეგად მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 731,0 მლნ ლარი, მათ შორის რაც წლიური გეგმის 44,7%-ს შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული სახსრები შეადგენს 483,9 მლნ ლარს, ხოლო საგარეო წყაროებიდან მიღებული სახსრები შეადგენს 247,2 მლნ ლარს.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ 1 სექტემბერს მიღებულ იქნა მსოფლიო ბანკის საბიუჯეტო დახმარება 121,3 მლნ ლარის ოდენობით, რისი გათვალისწინებითაც 1 სექტემბრის მდგომარეობით წლიური გეგმის შესრულებამ შეადგინა 52,1%.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის *ასიგნებები* განისაზღვრა 9 080.0 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 5 352.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 58.9%-ია. მათ შორის:

2014 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით **ხარჯების** დაზუსტებული გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტით განისაზღვრა 7 489.7 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 4 575.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 61,1%-ია.

საანგარიშო პერიოდში **ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით** განისაზღვრა:


✓ „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 839.0 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 303.1 მლნ ლარი) 64.4%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 18.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 15.7%-ს შეადგენს.

შრომის ანაზღაურების მუხლით 2014 წელს გაწეული ხარჯი 2013 წლის 8 თვესთან შედარებით გაზრდილია 95,2 მლნ ლარით რაც ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- 62,2 მლნ ლარით გაზრდილია ძალოვანი უწყებებისა და სასამართლო სისტემის თანამშრომლებზე გაწეული შრომის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით 2013 წლის განმავლობაში და 2014 წლის იანვრიდან განხორციელდა აღნიშნულ უწყებებში ხელფასების მოწესრიგება;
- 17,6 მლნ ლარით მეტი იქნება გაწეული არჩევნების ჩატარების ღონისძიებების ფარგლებში, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გასულ წელს საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა ოქტომბერში, ხოლო მიმდინარე წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა ივნისსა და ივლისში;
- გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ გასული წლის ბოლოს შეიქმნა რამდენიმე ახალი უწყება და განხორციელდა არსებული ორგანიზაციების გაძლიერება (ძირითადად სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროების შემადგენლობაში), რაც რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო დამატებით შრომის ანაზღაურების გაწევასთან.

- ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 533.6 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (887.0 მლნ ლარი) 60.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 10.0%-ს შეადგენს.
- ✓ „პროცენტის“ მუხლი - 158.6 მლნ ლარით (წლიური გეგმის 305.2 მლნ ლარის 52.0%-ია), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.0%-ს შეადგენს.
- ✓ „სუბსიდიების“ მუხლი - 145.4 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (268.8 მლნ ლარი) 54.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 2.7%-ს შეადგენს.
- ✓ „გრანტების“ მუხლი - 630.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 069.0 მლნ ლარი) 59.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 11.8%-ს შეადგენს.
- ✓ „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი - 1 652.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (2 573.0 მლნ ლარი) 64.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 30.9%-ს შეადგენს.
- ✓ „სხვა ხარჯების“ მუხლი - 615.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (1 083.8 მლნ ლარი) 56.8%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 13.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 11.5%-ს შეადგენს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 734.3 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 327.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 44.5%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 250.8 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 103.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 41.0%-ია.


ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 605.1 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 346.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 57.3%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

ათას ლარებში

	2014 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2014 მდგომარეობით)	8 თვის საკასო ხარჯი	სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი)	ფაქტი/წლიური გეგმა
გადასახდელები	9,080,000.0	5,352,006.3	3,727,993.7	58.9%
ხარჯები	7,489,746.6	4,575,477.8	2,914,268.8	61.1%
შრომის ანაზღაურება	1,303,058.9	838,987.9	464,071.0	64.4%
საქონელი და მომსახურება	886,985.4	533,559.5	353,425.9	60.2%
პროცენტი	305,181.4	158,621.7	146,559.7	52.0%
სუბსიდიები	268,784.8	145,422.8	123,362.0	54.1%
გრანტები	1,068,950.7	630,468.4	438,482.3	59.0%
სოციალური უზრუნველყოფა	2,572,969.6	1,652,493.4	920,476.2	64.2%
სხვა ხარჯები	1,083,815.8	615,924.1	467,891.7	56.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	734,325.9	326,976.4	407,349.5	44.5%
ფინანსური აქტივების ზრდა	250,847.2	102,968.9	147,878.3	41.0%
ვალდებულებების კლება	605,080.3	346,583.2	258,497.1	57.3%


2011-2014 წლების 8 თვის გადასახდელების შედარება



როგორც ზემოთმოცემული დიაგრამიდან ჩანს, სტატისტიკურად 8 თვის განმავლობაში გაწეული გადასახდელები წლიური შესრულების 60%-ის ფარგლებშია. გამონაკლისი იყო მხოლოდ 2013 წელი, როდესაც 8 თვის შესრულება წლიური ფაქტის მხოლოდ 53%-ს შეადგენდა. 2014 წლის 8 თვის განმავლობაში გაწეული გადასახდელები კი წლიური გეგმის 59%-ს შეადგენს, რისი გათვალისწინებითაც მოსალოდნელია, რომ გადასახდელების დაგეგმილი პარამეტრების შეუფერხებლად შესრულდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **ფუნქციონალურ ჭრილში**, ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების** ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 074.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 848.5 მლნ ლარი) 58.1%-ია. აღნიშნული თანხიდან 621.9 მლნ ლარი (57.8%) წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს.
- ✓ **თავდაცვის ღონისძიებების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 402.6 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (631.0 მლნ ლარი) 63.8%-ია;
- ✓ **საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 566.7 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (891.2 მლნ ლარი) 63.6%-ია;
- ✓ **ეკონომიკური საქმიანობის ხაზით** გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 517.9 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (991.5 მლნ ლარი) 52.2%.
- ✓ **გარემოს დაცვის ხაზით** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 36.4 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19.6 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 53.7%;
- ✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 99.9 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 23.8 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 23.8%;
- ✓ **ჯანმრთელობის დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 373.5 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (666.1 მლნ ლარი) 56.1%-ია;
- ✓ **საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში** დაფინანსდა 113.1 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის - 186.7 მლნ ლარის, 60.6%-ს შეადგენს;
- ✓ **განათლების ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 422.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (757.7 მლნ ლარი) 55.7%-ია;
- ✓ **სოციალური დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 388.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 113.3 მლნ ლარი) 65.7%-ია;



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის მიზნით განსაზღვრულია 869.0 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 484.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 394.2 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 84.5 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 309.7 მლნ ლარი.
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 89.9 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 73.9 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 16.0 მლნ ლარი.

2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 621.9 მლნ ლარი. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი – 489.6 მლნ ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 7.5 მლნ ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი – 124.8 მლნ ლარი (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის სპეციალური ტრანსფერის სახით – 7.2 მლნ ლარი).

2014 წლის 8 თვის განმავლობაში:

- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 48 996.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 25 590.6 ათასი ლარი;

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 828.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 720.6 ათასი ლარი;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 237 159.7 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 118 176.4 ათასი ლარი.
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 49 951.4 ათასი ლარი, 1 სექტემბრის მდგომარეობით გადარიცხულია 29 506.1 ათასი ლარი.
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 408.6 ათასი ლარი. ამასთან, შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 2 372.7 ათასი ლარი, მათ შორის ფიზიკური პირების სასარგებლოდ 1 474.5 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ - 898.2 ათასი ლარი.
- ✓ 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ირიცხებოდა 415.9 მლნ ლარი, მათ შორის 172.8 მლნ ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში ვადიან ანგარიშზე.

მხარჯავი დაწესებულებების 2014 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები

კოდი	დასახელება	2014 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2014)	8 თვის ფაქტი	%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	59,531.7	35,495.1	59.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,828.0	4,812.9	49.0%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,000.0	721.5	36.1%
04 00	საქართველოს მთავრობის კანცელარია	31,609.6	15,745.9	49.8%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	12,250.0	7,035.4	57.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	59,270.2	48,882.2	82.5%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,315.0	1,994.5	60.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,615.0	3,994.1	60.4%
09 00	საერთო სასამართლოები	47,425.0	28,271.4	59.6%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,495.0	1,382.5	55.4%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	900.0	438.9	48.8%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	725.0	381.4	52.6%

კოდი	დასახელება	2014 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2014)	8 თვის ფაქტი	%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	800.0	554.8	69.3%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	800.0	454.4	56.8%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650.0	423.2	65.1%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	650.0	377.3	58.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650.0	372.2	57.3%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	800.0	511.1	63.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	700.0	444.6	63.5%
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,499.8	3,254.2	72.3%
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,050.0	763.9	72.8%
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.0	825.6	61.2%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	96,000.0	56,352.7	58.7%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	87,755.0	31,786.5	36.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	897,504.5	413,620.3	46.1%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	62,458.5	35,769.5	57.3%
27 00	საქართველოს სასაგარეო ურთიერთობების, პროზაგიისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	157,000.0	86,400.1	55.0%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	90,400.8	65,187.8	72.1%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	662,990.8	420,011.4	63.4%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	600,000.0	397,496.8	66.2%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	9,277.6	5,066.6	54.6%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	754,318.0	419,934.2	55.7%

კოდი	დასახელება	2014 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2014)	8 თვის ფაქტი	%
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	82,584.3	50,333.8	60.9%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	48,452.9	10,096.6	20.8%
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,658,000.0	1,690,262.5	63.6%
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	133,631.5	83,828.1	62.7%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	263,500.0	156,111.1	59.2%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	31,395.0	17,615.9	56.1%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	61,176.2	46,148.4	75.4%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	46,000.0	29,846.4	64.9%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	2,380.0	1,451.7	61.0%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	38,194.0	26,784.2	70.1%
43 00	სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	680.0	271.9	40.0%
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.0	2,603.8	74.4%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,000.0	19,166.5	76.7%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,500.0	2,848.2	81.4%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	14,600.0	5,056.8	34.6%
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	797.7	61.4%
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,400.0	722.5	30.1%
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	750.0	405.4	54.1%
51 00	პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის აპარატი	600.0	324.3	54.1%
52 00	სავაჭრო-სამრეწველო პალატა	3,200.0	1,542.4	48.2%